

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №-----

2019 წლის ----- ნოემბერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით (დანართი თან ერთვის).

მუხლი 2.

ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №66 დადგენილება (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ www.matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.122.016511 თარიღი 26/12/2018).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

მოამზადა:

ფ. გაგოშიძე

შეთანხმებულია:

ბ. მაისურაძე

ა. დადუნაშვილი

თ. შვანგირაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი

თავი I.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2019 წლის ბიუჯეტის გეგმა			2020 წლის ბიუჯეტის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	16 360.7	4 459.5	11 901.2	20 990.5	7 945.4	13 045.1	15 651.9	170.0	15 481.9
გადასახადები	2 829.0	0.0	2 829.0	9 981.3	0.0	9 981.3	12 451.6	0.0	12 451.6
გრანტები	9 965.7	4 459.5	5 506.2	7 946.6	7 945.4	1.2	170.0	170.0	0.0
სხვა შემოსავლები	3 566.1	0.0	3 566.1	3 062.6	0.0	3 062.6	3 030.3	0.0	3 030.3
II. ხარჯები	10 078.6	329.8	9 748.8	11 709.5	733.1	10 976.4	11 803.1	164.0	11 639.1
შრომის ანაზღაურება	2 182.3	72.3	2 109.9	2 195.4	78.6	2 116.8	2 356.6	78.6	2 278.0
საქონელი და მომსახურება	1 204.7	25.8	1 178.8	1 634.1	262.3	1 371.9	1 322.7	21.9	1 300.8
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	52.5	0.0	52.5	55.6	0.0	55.6	0.0	0.0	0.0
სუბსიდიები	5 202.2	68.0	5 134.2	5 952.1	69.5	5 882.6	6 573.4	56.6	6 516.7
გრანტები	11.7	0.0	11.7	18.2	0.0	18.2	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	981.2	3.8	977.4	1 073.4	3.8	1 069.6	1 144.2	6.9	1 137.3
სხვა ხარჯები	444.2	159.9	284.3	780.6	318.9	461.7	406.3	0.0	406.3
III. საოპერაციო საღდო	6 282.1	4 129.7	2 152.4	9 281.1	7 212.3	2 068.8	3 848.8	6.0	3 842.8
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	5 569.4	3 876.9	1 692.5	14 130.1	8 582.1	5 547.9	3 761.4	6.0	3 755.4
ზრდა	5 872.5	3 876.9	1 995.7	14 496.0	8 582.1	5 913.9	3 861.4	6.0	3 855.4

კლება	303.1	0.0	303.1	366.0	0.0	366.0	100.0	0.0	100.0
V. მთლიანი სალდო	712.7	252.9	459.9	-4849.0	-1369.8	-3479.1	87.4	0.0	87.4
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	712.7	252.8	459.9	-4849.0	-1369.8	-3479.1	0.0	0.0	0.0
ზრდა	712.7	252.8	459.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	712.7	252.8	459.9	0.0			0.0	0.0	0.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	0.0	0.0	4849.0	1369.8	3479.1	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0			495.5	442.2	53.3	0.0	0.0	0.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	4353.5	927.6	3425.9	0.0	0.0	0.0
VII. ვალდებულებების ცვლილება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	-87.4	0.0	-87.4
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	87.4	0.0	87.4
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ბიუჯეტის გეგმა			2020 წლის ბიუჯეტის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	16 663.9	4 459.5	12 204.3	25 710.0	8 873.0	16 837.0	15 751.9	170.0	15 581.9
შემოსავლები	16 360.7	4 459.5	11 901.2	20 990.5	7 945.4	13 045.1	15 651.9	170.0	15 481.9
არაფინანსური აქტივების კლება	303.1	0.0	303.1	366.0	0.0	366.0	100.0	0.0	100.0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	4 353.5	927.6	3 425.9	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	15951.2	4206.7	11744.5	26205.5	9315.2	16890.3	15751.9	170.0	15581.9
ხარჯები	10078.6	329.8	9748.8	11709.5	733.1	10976.4	11853.1	164.0	11689.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	5872.5	3876.9	1995.7	14496.0	8582.1	5913.9	3811.4	6.0	3805.4
ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	87.4	0.0	87.4
ნაშთის ცვლილება	712.7	252.9	459.9	-495.5	-442.2	-53.3	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 15651,9 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2019 წლის ბიუჯეტის გეგმა			2020 წლის ბიუჯეტის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	16 360.7	4 459.5	11 901.2	20 990.5	7 945.4	13 045.1	15 651.9	170.0	15 481.9
გადასახადები	2 829.0	0.0	2 829.0	9 981.3	0.0	9 981.3	12 451.6	0.0	12 451.6
გრანტები	9 965.7	4 459.5	5 506.2	7 946.6	7 945.4	1.2	170.0	170.0	0.0
სხვა შემოსავლები	3 566.1	0.0	3 566.1	3 062.6	0.0	3 062.6	3 030.3	0.0	3 030.3

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 12 451,6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ბიუჯეტის გეგმა			2020 წლის ბიუჯეტის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	2 829.0	0.0	2 829.0	9 981.3	0.0	9 981.3	12 451.6	0.0	12 451.6
დღგ	0.0			7 881.3		7 881.3	9 851.6		9 851.6
საშემოსავლო გადასახადი	589.1		589.1	0.0			0.0		
ქონების გადასახადი	2 239.9	0.0	2 239.9	2 100.0	0.0	2 100.0	2 600.0	0.0	2 600.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 585.8		1 585.8	1 500.0		1 500.0	2 000.0		2 000.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.3		0.3	0.0			0.0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	11.5	0.0	11.5	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0.0		0.0	1.0		1.0	1.0		1.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	11.5		11.5	9.0		9.0	9.0		9.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	204.4	0.0	204.4	190.0	0.0	190.0	190.0	0.0	190.0
ფიზიკურ პირებიდან	154.4		154.4	140.0		140.0	140.0		140.0
იურიდიულ პირებიდან	50.0		50.0	50.0		50.0	50.0		50.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	437.9	0.0	437.9	400.0	0.0	400.0	400.0	0.0	400.0
ფიზიკურ პირებიდან	63.5		63.5	50.0		50.0	50.0		50.0
იურიდიულ პირებიდან	374.4		374.4	350.0		350.0	350.0		350.0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 170. 0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი		2019 წლის ბიუჯეტის გეგმა		2020 წლის ბიუჯეტის პროექტი	
	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის

		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებ ო	საკუთარი შემოსავლებ ო		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებ ო	საკუთარი შემოსავლებ ო		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებ ო	საკუთარი შემოსავლებ ო
გრანტები	9 965. 7	4 459.5	5 506.2	7 946. 6	7 945.4	1.2	170. 0	170.0	0.0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	1.2		1.2	1.2		1.2	0.0		
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	9 964. 5	4 459.5	5 505.0	7 945. 4	7 945.4	0.0	170. 0	170.0	0.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5 675. 0	170.0	5 505.0	170. 0	170.0	0.0	170. 0	170.0	0.0
გათანაბრე ბიტი ტრანსფერი	5 505. 0		5 505.0	0.0			0.0		
მიზნობრი ვი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლ ად	170. 0	170.0		170. 0	170.0		170. 0	170.0	
ფონდებიდა ნ გამოყოფილი ტრანსფერები	4 289. 5	4 289.5	0.0	7 775. 4	7 775.4	0.0	0.0	0.0	0.0
საქართვე ლოს რეგიონებში განსახორციელებელ ი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	3 987. 7	3 987.7		5 740. 4	5 740.4		0.0		
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0			704. 0	704.0		0.0		
სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტები ს დაფინანსება	22.2	22.2		1 041. 0	1 041.0		0.0		
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები	279. 6	279.6		290. 0	290.0		0.0		

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 1 396.6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი		2019 წლის ბიუჯეტის გეგმა		2020 წლის ბიუჯეტის პროექტი	
	სუ	მათ შორის	სუ	მათ შორის	სუ	მათ შორის

	ლ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	ლ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	ლ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	3 566.1	0.0	3 566.1	3 062.6	0.0	3 062.6	3 030.3	0.0	3 030.3
შემოსავლები საკუთრებიდან	708.7	0.0	708.7	441.7	0.0	441.7	220.0	0.0	220.0
პროცენტები	290.7		290.7	221.7		221.7	0.0		
რენტა	418.0	0.0	418.0	220.0	0.0	220.0	220.0	0.0	220.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	385.4		385.4	200.0		200.0	200.0		200.0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირაენობა და სხვა) გადაცემიდან	32.6		32.6	20.0		20.0	20.0		20.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	2 023.6	0.0	2 023.6	1 260.0	0.0	1 260.0	1 260.0	0.0	1 260.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1 969.5	0.0	1 969.5	1 190.0	0.0	1 190.0	1 190.0	0.0	1 190.0
სანებართვო მოსაკრებელი	37.9		37.9	40.0		40.0	40.0		40.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.6		0.6	0.0			0.0		
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1 750.0		1 750.0	1 000.0		1 000.0	1 000.0		1 000.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	181.0		181.0	150.0		150.0	150.0		150.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	54.1	0.0	54.1	70.0	0.0	70.0	70.0	0.0	70.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	54.1		54.1	70.0		70.0	70.0		70.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	782.1		782.1	1 322.8		1 322.8	1 550.3		1 550.3
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	5.0		5.0	4.3		4.3	0.0		
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	46.6		46.6	33.8		33.8	0.0		

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით
 ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 11853,1 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2019 წლის ბიუჯეტის გეგმა			2020 წლის ბიუჯეტის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	10 078.6	329.8	9 748.8	11 709.5	733.1	10 976.4	11 853.1	164.0	11 689.1
შრომის ანაზღაურება	2 182.3	72.3	2 109.9	2 195.4	78.6	2 116.8	2 356.6	78.6	2 278.0
საქონელი და მომსახურება	1 204.7	25.8	1 178.8	1 634.1	262.3	1 371.9	1 372.7	21.9	1 350.8
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	52.5	0.0	52.5	55.6	0.0	55.6	0.0	0.0	0.0
სუბსიდიები	5 202.2	68.0	5 134.2	5 952.1	69.5	5 882.6	6 573.4	56.6	6 516.7
გრანტები	11.7	0.0	11.7	18.2	0.0	18.2	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	981.2	3.8	977.4	1 073.4	3.8	1 069.6	1 144.2	6.9	1 137.3
სხვა ხარჯები	444.2	159.9	284.3	780.6	318.9	461.7	406.3	0.0	406.3

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 3711,4 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 3811,4 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 100.0 თასი ლარით:

ათას ლარში

ორგ. კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ბიუჯეტის გეგმა	2020 წლის ბიუჯეტის პროექტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	67.7	184.4	434.5
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	5 226.7	12 643.8	2 951.2
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1.1	2.7	3.7
04 00	განათლება	230.3	1 164.5	300.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	342.7	489.7	114.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4.1	11.1	8.0
	სულ	5 872.5	14 496.0	3 811.4

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის ბიუჯეტის გეგმა	2020 წლის ბიუჯეტის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	303.1	366.0	100.0

ბირითადი აქტივები	177.418	70.0	20.0
არაწარმოებული აქტივები	125.718	296.0	80.0
მიწა	125.718	296.0	80.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი			2019 წლის ბიუჯეტის გეგმა			2020 წლის ბიუჯეტის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3 015.5	101.1	2 914.4	3 398.8	100.8	3 298.0	3 748.9	102.9	3 646.0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3 015.5	101.1	2 914.4	3 352.3	100.8	3 251.5	3 626.3	102.9	3 523.4
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3 015.5	101.1	2 914.4	3 198.0	100.8	3 097.2	3 236.3	102.9	3 133.4
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	154.3	0.0	154.3	390.0	0.0	390.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	0.0	0.0	21.5	0.0	21.5	22.6	0.0	22.6
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	0.0	0.0	25.0	0.0	25.0	100.0	0.0	100.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	5 646.6	3 869.3	1 777.4	12 206.7	7 249.7	4 957.0	3 316.5	0.0	3 316.5

ათას ლარში

7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	61.7	0.0	61.7	673.6	638.4	35.1	100.0	0.0	100.0
7042 1	სოფლის მეურნეობა	61.7	0.0	61.7	673.6	638.4	35.1	100.0	0.0	100.0
7045	ტრანსპორტი	5 528.5	3 869.3	1 659.2	10 475.9	5 877.9	4 598.1	2 966.5	0.0	2 966.5
7045 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5 528.5	3 869.3	1 659.2	10 475.9	5 877.9	4 598.1	2 966.5	0.0	2 966.5
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	56.4	0.0	56.4	1 057.1	733.4	323.8	250.0	0.0	250.0
705	გარემოს დაცვა	1 177.6	159.9	1 017.7	1 725.3	289.2	1 436.1	1 311.3	0.0	1 311.3
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	843.7	0.0	843.7	1 158.0	0.0	1 158.0	1 171.3	0.0	1 171.3
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	333.9	159.9	174.0	567.3	289.2	278.1	140.0	0.0	140.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	807.1	5.4	801.7	1 615.6	540.0	1 075.6	908.0	0.0	908.0
7063	წყალმომარაგება	349.9	0.0	349.9	0.0	0.0	0.0	350.0	0.0	350.0
7064	გარე განათება	237.6	0.0	237.6	1 056.4	540.0	516.4	208.0	0.0	208.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	219.6	5.4	214.1	559.2	0.0	559.2	350.0	0.0	350.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	70.1	68.0	2.1	99.4	69.5	29.9	107.5	61.1	46.4
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	70.1	68.0	2.1	99.4	69.5	29.9	107.5	61.1	46.4
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 966.8	0.0	1 966.8	2 295.0	0.0	2 295.0	2 062.7	0.0	2 062.7
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	684.5	0.0	684.5	909.3	0.0	909.3	653.9	0.0	653.9
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 032.0	0.0	1 032.0	1 164.3	0.0	1 164.3	1 218.8	0.0	1 218.8
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	150.3	0.0	150.3	121.4	0.0	121.4	90.0	0.0	90.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0

709	განათლება	2 013.6	0.0	2 013.6	3 479.5	1 063.2	2 416.3	2 691.0	0.0	2 691.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	2 013.6	0.0	2 013.6	2 412.3	0.0	2 412.3	2 691.0	0.0	2 691.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0.0	0.0	0.0	1 067.2	1 063.2	4.0	0.0	0.0	0.0
710	სოციალური დაცვა	1 251.4	3.0	1 248.4	1 384.4	2.9	1 381.5	1 518.7	6.0	1 512.7
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	95.3	0.0	95.3	100.0	0.0	100.0	105.0	0.0	105.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	1 001.0	3.0	998.0	1 103.9	2.9	1 101.0	1 250.2	6.0	1 244.2
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	155.0	0.0	155.0	180.4	0.0	180.4	163.5	0.0	163.5
	სულ	15 948.7	4 206.7	11 742.0	26 204.7	9 315.2	16 889.5	15 664.5	170.0	15 494.5

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 87,4 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 3798,8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	6282,1	9281,1	3798,8
მთლიანი სალდო	712,7	- 4849,0	87,4

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 0.0 ათასი ლარით: ზრდა 0,0 ათ. ლარით და კლება 0,0 ათ. ლარი.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 87,4 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

თავი II. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4517,6 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	ათას ლარში		
		2020 წლის ბიუჯეტის პროექტი		
		სულ	მათ შორის	
სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	4 517,6	0,0	4 517,6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2 035,2	0,0	2 035,2
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	1 945,2	0,0	1 945,2
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	50,0	0,0	50,0
02 01 04	ხიდების და ბოგიერების მშენებლობა	40,0	0,0	40,0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	293,1	0,0	293,1
02 02 01	სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია	100,0	0,0	100,0
02 02 02	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	193,1	0,0	193,1
02 03	გარე განათება	558,0	0,0	558,0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	350,0	0,0	350,0
02 03 02	გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა	208,0	0,0	208,0
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	100,0	0,0	100,0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 131,3	0,0	1 131,3
02 06 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი	931,3	0,0	931,3
02 06 02	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	100,0	0,0	100,0
02 06 03	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია (მოსაცდელეები - ტრენაჟორები)	100,0	0,0	100,0
02 08	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	150,0	0,0	150,0
02 09	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	250,0	0,0	250,0

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული საავტომობილო გზების რეაბილიტირება, რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება, მდინარეებზე ხიდ-ბოგიერების მოწყობა, რეაბილიტაცია. ასევე საჭიროების შემთხვევაში გზის თოვლის საფარისგან გაწმენდა და სტიქიისა შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა.

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01		2035,2

პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)
პროგრამის აღწერა და მიზანი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოხდება გზების რეაბილიტაცია-კაპიტალური შეკეთება როგორც მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი დაფინანსებით; ამასთან განხორციელდება საზედამხედველო და საპროექტო სამუშაოების დაფინანსება. ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განხორციელდება გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა.
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული მიმოსვლა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		1945,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის შიდა გზების რეაბილიტაცია, კერძოდ: სოფელ გვიშტიში ძმათა სასაფლაოსთან, ბობოხიძეების და ნიჟარაძეების უბანში გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია - 1,8 კმ; სოფელ ხომულში მე-14 ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით - 550 მ; სოფელ რიონში სინატაშვილების უბანში და ქალაქ წყალტუბოში გოგებაშვილისა და ყაზბეგის ქუჩაზე არსებული სასაფლაოებთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 450 მეტრი; ქალაქ წყალტუბოში გოგებაშვილის ქუჩაზე №2 და №2ა ბინებთან მისასვლელი - გზების რეაბილიტაცია; სოფელ წყალტუბოში მე-15 და 23-ე ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ასფალტის საფარით - 1,2, კმ; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში 44-ე ქუჩაზე გზის ასფალტო-ბეტონის საფარით რეაბილიტაცია - 1,9 კმ; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში N12 ქუჩაზე (ჩიტეიშვილების უბანი) და N14 ქუჩაზე (კორეის უბანი) საავტომობილო გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები - 1,7 კმ; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მამაგეიშვილების უბანში საავტომობილო გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები - 2,2 კმ. სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზის დასკვნის მომზადება სამუშაოების ღირებულების 2,5%-ის ფარგლებში. ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით მოხდება პროექტირების დაფინანსება.		
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული მიმოსვლა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		1945,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეაბილიტირებული გზების მოვლა, რაც გულისხმობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა და სტიქიისა შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრას.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეუფერხებელი გადაადგილება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხიდების და ბოგირების მშენებლობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 04		40,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		

პროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ხიდების რეაბილიტაცია - მშენებლობა, კერძოდ სოფელ ტყაჩირსა და სოფელ მექვენაში.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეუფერხებელი გადაადგილება

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების განვითარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02		293,1
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	წყლის სისტემების განვითარების პროგრამა ითვალისწინებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების როგორც სრულ ასევე ნაწილობრივ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში რათა წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. პროგრამა ასევე მოიცავს სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაციასა და შადრევნების წყლის ხარჯის დაფინანსებას. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა) ასევე მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი; • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ოჯახს სასმელ წყალზე აქვს შეუფერხებელი წვდომა; • აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად. 		

პროგრამის დასახელება	კოდი	სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		100,0
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაციას, კერძოდ გოგებაშვილის, კოსტავასა და ლერმონტოვის ქუჩაზე. ასევე სოფელ სორმონში.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის აღდგენილი და შეკეთებული სანიაღვრე არხები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		193,1
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების როგორც სრულ ასევე ნაწილობრივ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში რათა წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. ქვეპროგრამა ასევე მოიცავს შადრევნების წყლის ხარჯის დაფინანსებას. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია - ახლის მოწყობა სოფელ ცხუნკურში, სოფელ ყუმისთავში, სოფელ გვიშტაში, სოფელ ხომულსა და სოფელ გუმბრაში.		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი; • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ოჯახს სასმელ წყალზე აქვს შეუფერხებელი წვდომა; 		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
----------------------	------	---------------	----------------------------------

	02 03		558,0
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისათვის და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათების ფუნქციონირებას. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას.</p> <p>პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> • გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია; • გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა. <p>პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ ინფრასტრუქტურული ასევე მომსახურების. რაც შეეხება მის ხანგრძლივობას იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში , ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. • პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. 		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		350,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება. ქვეპროგრამა მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03 02		208,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისათვის და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათების ფუნქციონირებას. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების ახალი ქსელის მოწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 80%. 2020 წლის ბიუჯეტის ფარგლებში მოხდება გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია - მოწყობა სოფელ ხომულში მე-18 ქუჩაზე, სოფელ პირველ წყალტუბოში, სოფელ გუმბრაში, სოფელ ზარათში, სოფელ სორმონსა და სოფელ წყალტუბოში.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში , ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. • პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. 		

პროგრამის დასახელება	კოდი	ზინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 05		100,0
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, კერძოდ: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და ფასადების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, ეზოების კეთილმოწყობა, საძირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი, გამნათებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა, დაზიანებული წყალ-კანალიზაციების კომუნალური ინჟინერიის აღდგენა, პარკეტებისა და წყალსაწრეტი</p>		

	მიღების რეაბილიტაცია.
მოსალოდნელი შედეგი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსებით საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობა და მოსახლეობის სოციალური პირობების შემსუბუქება

პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06		1131,3
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა შედგება 3 ქვეპროგრამისაგან. ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი; შენობების ფასადების რეაბილიტაცია; საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია (მოსაცდელეები - ტრენაჟორები). 		
მოსალოდნელი შედეგი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული შენობების რეაბიტრებული ფასადები , საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მოწყობა და მოსახლეობის სოციალური პირობების შემსუბუქება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 01		931,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)პ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია ქალაქის იერსახის გაუმჯობესება, რისთვისაც ა(ა)პ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი ახორციელებს:</p> <ul style="list-style-type: none"> გარე განათების, დეკორატიული განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფას; სანიაღვრე არხების გაწმენდას, მოვლა-პატრონობას; ცივი ტბისა და ცივი ტბისგან გამომდინარე არხების მოვლა - პატრონობას; ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების გამწვანებაზე ზრუნვა, სკვერებისა და ხე-ნარგავების მოვლა-პატრონობა. 		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> გაუმჯობესებული ქალაქის იერსახე; ტურისტებისთვის მიზიდველი ქალაქი. 		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 02		100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ფასადების რეაბილიტაცია ტაბიძის ქუჩებზე არსებული საერთო საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია და დედაენისა და ჭავჭავაძის ქუჩის გადაკვეთაზე.		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> გაუმჯობესებული ქალაქის იერსახე; მოსახლეობის სოციალური პირობების შემსუბუქება. 		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია (მოსაცდელეები - ტრენაჟორები)	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 03		100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსაცდელის მოწყობა სოფელ ყუმისთავში, მეორე უბანი, ქვედა ჩუნეში, სოფელი რონი, ბანოჯა. ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ტრენაჟორების მოწყობა სოფელ ოფურჩხეთსა და ქალაქ წყალტუბოში.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში არსებული სივრცეების მოწესრიგება - რეაბილიტაცია მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობების სრულყოფილად განხორციელებისათვის.

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 08		150,0
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. რისთვისაც პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად მომზადება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 09		250,0
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 50,0 ათ. ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა. პროგრამის მიზანია პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.		
მოსალოდნელი შედეგი	შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო სტანდარტებს.		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1018,2 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის ბიუჯეტის პროექტი		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 018,2	0,0	1 018,2
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	978,2	0,0	978,2
03 02	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	40,0	0,0	40,0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01		978,2
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 7 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. შეგროვებული ნარჩენები გადის გეგუთის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 25 მ. კუბი ნარჩენი. პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიის დაგვა და სანიტარული დასუფთავება.		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • გაუმჯობესებული სანიტარული პირობები; • მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა. 		

პროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 02		40,0
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების იზოლირება.		
მოსალოდნელი შედეგი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება მაწანწალა ძაღლები		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2691,0 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამის კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის ბიუჯეტის პროექტი		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
04 00	განათლება	2 691,0	0,0	2 691,0
04 01	საბავშვო ბაღების გაერთიანება	2 691,0	0,0	2 691,0

პროგრამის დასახელება	კოდი	საბავშვო ბაღების გაერთიანება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
----------------------	------	------------------------------	----------------------------------

	04 01		2691,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზავშვო ბარების გაერთიანება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით აღრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 23 საზავშვო ბარი 1850 აღსაზრდელით. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისად აღზრდელი პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უზრუნველყოფის მიზნით ზაგა - ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარება.		
მოსალოდნელი შედეგი	სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა.		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2062,7 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამის კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის ბიუჯეტის პროექტი		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	2 062,7	0,0	2 062,7
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	653,9	0,0	653,9
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	23,0	0,0	23,0
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	530,9	0,0	530,9
05 01 02 01	წყალტუბო არენა	104,3	0,0	104,3
05 01 02 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	426,6	0,0	426,6
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (მოედნები)	100,0	0,0	100,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1 399,7	0,0	1 399,7
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1 218,8	0,0	1 218,8
05 02 01 01	წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	443,0	0,0	443,0
05 02 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	639,3	0,0	639,3
05 02 01 03	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	136,5	0,0	136,5
05 02 02	კულტურული ღონისძიებები	80,9	0,0	80,9
05 02 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100,0	0,0	100,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	9,1	0,0	9,1

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01		653,9
პროგრამის განმახორციელებელი	<i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)</i>		

პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება და სპორტული ობიექტების დაფინანსება. ასევე მოხდება სპორტული მოედნების მოწყობა - რეაბილიტაცია.
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		23.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)</i>		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, როგორცაა წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოვება; ტრანსპორტირება; შშმ სპორტსმენებისათვის ტურნირებზე მივლინება; სპორტული ღონისძიებებისათვის თასებისა და მედლების შესყიდვა; სპორტული ღონისძიებებისათვის დიპლომების ბეჭდვის მომსახურება; სასკოლო სპორტული ოლიმპიადისათვის ფორმების შესყიდვა; გვი თალაკვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი მძლეოსნობაში; სამოყვარულო ფეხბურთის ლიგა; ქალთა საერთაშორისო დღისდადმი მიძღვნილი ფრენბურთის ტურნირი; გურამ ქურასბედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭიდაობის ტურნირი; შალვა ბზიკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ძიულაში (საერთაშორისო); სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მართაონი; სულიკო ნიქაბაძის სახელობის მინი ფეხბურთის ტურნირი; ნოდარ კობრიძის ხსოვნის ტურნირი მინი ფეხბურთში; დავით აფხაძის ხსოვნის ტურნირი ბ/რმ ჭიდაობაში; ზურაბ ბადირეიშვილის ხსოვნის ტურნირი კალათბურთში კერძო და საჯარო სკოლებს შორის; როინ მეტრეველის ხელბურთი (საერთაშორისო); ზაურ ტეხოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი მინი ფეხბურთის ტურნირი კერძო და საჯარო სკოლებს შორის.		
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლინება; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია და მასობრიობის ზრდა;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		530,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)</i>		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული დაწესებულებების დაფინანსება სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; სპორტული ტრადიციების დაცვის, გაღმავების, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის; სპორტის განვითარების; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისათვის.		
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბო არენა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 01		104,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წყალტუბო არენა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნა დაგეგმილი მატჩებისათვის.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ ყველა სპორტულ თონისძიებას.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 02		402,6
ქვეპროგრამის	ა(ა)იპ წყალტუბო მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება		

განმახორციელებელი სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდი ჩართოს სპორტში, რათა სპორტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელი თაობის ჩამოყალიბებაში. ამ მიზნით ქვეპროგრამა აერთიანებს 12 სპორტულ მიმართულებას, რომელთაც ეუფლება 442 სპორტსმენი.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული კლუბებით და სექციებით სარგებლობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (მოედნები)	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია მოწყობა სოფელ ქვიტირში, მუხიანში, გეგუთსა და მაღლაკში, ხოლო ქალაქ წყალტუბოში დედა ენის, შანიძისა და ტაბიძის ქუჩებზე.		
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02		1318,8
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		
